

დადგენილება № ცგ-0983-22  
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის  
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

22 დეკემბერი, 2022 წ.

- დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.
- საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 22 დეკემბერი.
- ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:  
ფიზიკური პირი კობა ტორაძე, პირადი № 60901171606, დაბ. 1969 წლის 2 იანვარს, მის. ქ. ბათუმი, ჰეიდარ აბაშიძის ქ. № 10/12, ბინა № 15, ფატქ. მის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღლაკი, კორპ. № 37, ბინა № 275, ტელ.: 557 35 71 71.
- საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:  
2022 წლის 6 დეკემბერს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, კორპ. № 37, ბინა № 275-ში, აბონენტ ზუბიკო ტორაძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ კობა ტორაძეს სამფაზა ელექტრომრიცხველის ქვედა ხუფის ლუქის მავთული ჰქონდა გაწყვეტილი, ხოლო ხუფის მოხსნისას აღმოჩნდა, რომ A ფაზის ზღუდარი იყო გახსნილი და არ აღრიცხავს აღნიშნულ ფაზაში მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯს. შემოწმების დროს A ფაზაში დენი არ გადიოდა და მრიცხველი მოხმარებულ ელექტროენერგიას აღრიცხავდა ნაწილობრივ, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. კობა ტორაძის მიმართ 13.12.2022წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 009668 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, მაგრამ არ ეთანხმება ფაქტის არსებობას. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. კობა ტორაძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 06.12.2022წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № A1046435 და სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომლებითაც დასტურდება კობა ტორაძის მიერ ელექტროენერგიის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია,

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

აბონენტის ბარათი, სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი), რომელთა მეშვეობით დგინდება კობა ტორაძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც კობა ტორაძემ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228<sup>2</sup>-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU №2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 10.10.2022 წ. EPG OR № 2022037 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი კობა ტორაძე, პირადი № 60901171606, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: \_\_\_\_\_

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,  
კომისიის თავმჯდომარე